ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების მიერ საცხოვრებელი ფართების მესამე პირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის აკრძალვის შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. აიკრძალოს ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიერ საცხოვრებელი ფართების გაქირავება ან სხვა ფორმით მესამე პირთათვის სარგებლობაში გადაცემა;
2. დაევალოს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს შეიმუშავოს ობსერვატორიის ტერიტორიაზე უცხო პირთა დაშვების პროცედურები;
3. ბრძანების 1 პუქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან;
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორს ვასილ კუხიანიძეს და ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ვასილ მარგალიტაძეს;
5. ბრძანება გამოიკრას ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, წინამდებარე ბრძანება მიაწოდოს იურიდიულ სამსახურს, ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, მატერიალური რესურსების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი